ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2018-242

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სახალხო დამცველის პირველი მოადგილის თამარ გვარამაძის სახით და მეორე მხრივ, **სს „გუდვილი“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ხაბაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის (წარმომადგენლობითი ხარჯები) დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4.„მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების ობიექტი და მოწოდების ვადა

მიმწოდებელი მიაწვდის შემსყიდველს სხვადასხვა სახის საკვებ პროდუქციას (CPV 15890000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში (აღნიშნული საკვები პროდუქცია განკუთვნილია საზოგადოებისთვის სახალხო დამცველის აპარატის რეორგანიზაციის შედეგების ინფორმირების მიზნით ჩატარებული ღონისძიებისთვის 2018 წლის 21 დეკემბერს):

№	საქონლის დასახელება	ზომის. ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის
1	სამარხვო ფხვიერი ნამცხვარი ქოქოსით	კილოგრამი	1.3	13.854	18.01
2	ფხვიერი ნამცხვარი "კურაბიე"	კილოგრამი	1	16.99	16.99
3	0.95ლ ალუბალი Sandora/წვენი	ცალი	3	4.9	14.7
4	0,95ლ ანანასი Sandora/წვენი	ცალი	3	4.9	14.7
5	0,95ლ ფორთოხალი Sandora/წვენი	ცალი	3	4.9	14.7
6	სულგუნის კრეპე პიტნით შემწვარი (ცალი) (ფურშეტი)	ცალი	40	1.2	48
7	ტარტალეტკა ისპანახით (ფურშეტი)	ცალი	50	1.5	75
8	ერთჯერადი ჭურჭლის ნაკრები (ფურშეტისთვის)	ცალი	50	0.5	25
9	მინი ხაჭაპური ნახევრად ფენოვანი (ფურშეტი)	ცალი	50	0.65	32.5
10	ლობიანი ნახევრად ფენოვანი მინი (ფურშეტი)	ცალი	50	0.5	25
11	ტრანსპორტირება				10.00
					294.60

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **294,60** (ორასოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა ან/და სასაქონლო ზედდებული ან/და

მიღება–ჩაბარების აქტი) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან ამ მუხლის 5.1. პუნქტში აღნიშნულ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას ხელს მოაწერს „ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;
6.5 მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი: **გვანცა კვანტალიანი** – ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს უფროსის მ.შ.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწოდებული საქონლის მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტე

შემსყიდველი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150 ს/კ: 203860679 ტელ: 2234499; 1481 (ცხელი ხაზი) ელ–ფოსტა: mkvitsiani@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა: 200122900 სახალხო დამცველის პირველი მოადგილე თამარ გვარამაძე	მიმწოდებელი: სს „გუდვილი“ მის: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N1 ს/კ: 206343991 ტელ: 2 40 00 02 ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ კოდი: TBCBGE22 ა/ა GE61TB 3615 3360 2010 0004 დირექტორი გიორგი ხაბაშვილი

ინფორმაცია N2018-242

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 21 დეკემბერი, 2018 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, თამარ გვარამაძე (საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე - ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი), მარიამ კვიციანი (ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი), ნინო ჟორჟოლიანი (ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი) და გვანცა კვანტალიანი (ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს უფროსის დროებით მ.შ - ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებაზე პასუხიმგებელი პირი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2018 წლის 21 დეკემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულება N2018-242-ის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მე–8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თამარ გვარამაძე _____

მარიამ კვიციანი _____

ნინო ჟორჟოლიანი _____

გვანცა კვანტალიანი _____